ბრძანება:**ბ115. 115230831**
თარიღი:**24/03/2023**

ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

სხდომის ჩატარებისა და ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს გადაწყვეტილების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონი ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 26-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. მოწვეულ იქნას ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა 2023 წლის 31 მარტს 12-00 საათზე, რომელიც ჩატარდება ქობულეთის მუნიციპალიტეტის შენობაში მესამე სართულზე, სააქტო დარბაზში. (მის: ქობულეთი,დ.აღმაშენებლის გამზირი N141);

2. ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიურომ გადაწყვიტა: ქობულეთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის 31 მარტის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში შეტანილ იქნას შემდეგი საკითხები:

2.1. ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერის 2023 წლის 28 თებერვლის N114-11423059277 მომართვა-ქობულეთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ადგილობრივი პროგრამული ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის დამტკიცების შესახებ;

(მომხსენებელი: ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე დავით ვერულიძე)

2.2. ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერის 2023 წლის 28 თებერვლის N114-11423059204 მომართვა-ქობულეთის მუნიციპალიტეტის 2022 წელს განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ანგარიშის შესრულების ცნობად მიღების შესახებ;

(მომხსენებელი: ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე დავით ვერულიძე)

2.3.ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერის 2023 წლის 10 მარტის N114-11423069274 მომართვა- ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საგანგებო მართვის გეგმის დამტკიცების შესახებ;

(მომხსენებელი: ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი გელა

გოგიტიძე)

2.4. ,,საგანგებო სიტუაციებზე ქობულეთის მუნიციპალიტეტის რეაგირების გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 23 აგვისტოს N134 განკარგულების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე;

(მომხსენებელი: ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი გელა გოგიტიძე)

2.5. ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერის 2023 წლის 22 მარტის N114-11423081245 მომართვა- ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურისთვის მშენებლობის შეჩერების შესახებ დადგენილების მიღების შემდეგ ამ დადგენილების შესრულების კონტროლის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ დადგენილების პროექტის განხილვის თაობაზე;

(მომხსენებელი: ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული

სამსახურის იურიდიული განყოფილების უფროსი თეონა გეგიძე)

2.6.ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერის 2023 წლის 22 მარტის N114-11423081275 მომართვა- ქობულეთის მუნიციპალიტეტის მიერ ცალკეულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმის განმხილველ პირთა განსაზღვრისა და სამართალდარღვევათა საქმისწარმოებისათვის დოკუმენტების ფორმების დამტკიცების შესახებ დადგენილების პროექტის განხილვის თაობაზე;

(მომხსენებელი: ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული

სამსახურის იურიდიული განყოფილების უფროსი თეონა გეგიძე)

2.7.ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერის 2023 წლის 17 მარტის N114-1142306330 მომართვა-ქალაქ ქობულეთში, დ. აღმაშენებლის გამზირი N297-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს.კ. 20.42.01.051) მრავალფუნქციური ობიექტის მშენებლობის მიზნით განაშენიანების დეტალური გეგმის დამტკიცების თაობაზე;

(მომხსენებელი:ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიის არქიტექტურისა და სივრცითი მოწყობის სამსახურის უფროსის მ/შ ნათია ბასიაშვილი)

2.8.ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერის 2023 წლის 14 თებერვლის N114-11423045337 მომართვა -ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერისათვის პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარის ფორმით, სარგებლობის უფლებით 2 (ორი) წლის ვადით მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქ.ქობულეთში, დავით აღმაშენებლის გამზირი N416-ის მიმდებარედ მდებარე 60.0 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (ტროტუარი, ს/კ N20.42.02.977) ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერზე თანხმობის მიცემისა და საწყისი წლიური საიჯარო საფასურის განსაზღვრის შესახებ (ფ/პ ,,დავით პაპუნაიშვილი “);

(მომხსენებელი: ლაშა ხახუტაიშვილი)

2.9. ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერის 2023 წლის 17 მარტის N114-11423076327 მომართვა - ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქ.ქობულეთში, დავით აღმაშენებლის გამზირი N279-ში, ქობულეთის ცენტრალური პარკის ტერიტორიაზე, რესტორან ,,სანსეტი“-ს“ მიმდებარედ მდებარე N6-55,0 საერთო ფართის შენობა-ნაგებობის 2 (ორი) წლის ვადით იჯარის უფლებით სარგებლობაში გამოყოფა და საწყისი წლიური საიჯარო საფასურის განსაზღვრის შესახებ;

(მომხსენებელი: ლაშა ხახუტაიშვილი)

2.10. ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერის 2023 წლის 27 თებერვლის N114-11423058103 მომართვა - ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქობულეთის მუნიციპალიტეტის დაბა ოჩხამურში, აღმაშენებლის ქუჩა N3-ში მდებარე უძრავ ქონებაში, მე-2 სადარბაზოს, მე-5 სართულზე არსებული 56,20 კვ.მ საერთო ფართის ბინა (ს/კ N20.37.02.114.01.041), აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში გადაცემის შესახებ;

(მომხსენებელი: ლაშა ხახუტაიშვილი)

2.11.შპს ,,ქობულეთის ტრანსრეგულირება“-ს 2023 წლის 15 თებერვლის N20 მომართვა -2022 წელს გაწეული მუშაობის ანგარიშის შესახებ;

(მომხსენებელი: მერაბ პაპუნაიშვილი)

2.12. ა(ა)იპ ,,ქობულეთის პარკი“-ს 2023 წლის 17 თებერვლის N4 მომართვა -2022 წელს გაწეული მუშაობის ანგარიშის შესახებ;

(მომხსენებელი: დავით ნიჟარაძე)

2.13. (ა)იპ ,,ქობულეთის სანდასუფთავება“-ს 2023 წლის 21 თებერვლის N25 მომართვა -2021 წელს გაწეული მუშაობის ანგარიშის შესახებ;

(მომხსენებელი: გიორგი მჟავანაძე)

2.14. (ა)იპ ,,ქობულეთის გამწვანება“-ს 2023 წლის 20 თებერვლის N34-11423051125 მომართვა -2022 წელს გაწეული მუშაობის ანგარიშის შესახებ;

(მომხსენებელი: ზვიად რომანაძე)

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30);

4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

დავით მჭედლიშვილი

ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი